

კინგის ქართული ენის ოლიმპიადი

I ტური

მე-9 კლასი

სავარჯიშო I. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი: (60 ქულა)

- რომელ ფორმაშია ძირი, წარმომქმნელი აფიქსი და ბრუნვის ნიშანი არასწორად გამოყოფილი?  
ა) ბედნი-ერ-ი;                                ბ) ქუდ-ოსან-ი;                                გ) სა-გალობ-ელ-ი;
- რომელი სიტყვაა დანიშნულების აღმნიშვნელი წარმოქმნილი სახელი?  
ა) შვიდკაცა;                                ბ) სასამართლო;                                გ) მეზურნე;
- რომელი სახელის ფუძეში გაჩნდა 5 თანხმოვანი ფონეტიკური მოვლენის შედეგად?  
ა) ნიბლია;                                ბ) ნაცარი;                                გ) წმინდა;
- რომელ წინადადებაშია საკუთარი არსებითი სახელი?  
ა) ეთერი რომ ჩანთას მოიხსნის, მაშინ შემოადებს კარს დიდთავა ბიჭი.  
ბ) მიდის გოგონა, დილის ცინცხალ ჰაერში თითქოს ცხვირით მიიკვლევს გზას.  
გ) ის წიგნს გადაშლის და ტუჩების ცმაცუნით წაიკითხავს.
- რომელ სიტყვას არ ეწარმოება მრავლობითი რიცხვი?  
ა) წიწკა;                                ბ) ბედი;                                გ) თასმა;
- რომელია მართებული ფორმა მართლწერის თვალსაზრისით?  
ა) იწილო-ბიწილო;                                ბ) თვალდაქყეტილი;                                გ) გულ დასმით;
- რომელია მცდარი ფორმა მართლწერის თვალსაზრისით?  
ა) ხუთას სამოცი;                                ბ) ათასერთი;                                გ) დედისერთა;
- რომელია არასწორი შესიტყვება?  
ა) გოეთის ნააზრევი;                                ბ) მენაზდის აზრით;                                გ) ელენეს შეთავაზებით;
- რომელია მართებული შესიტყვება?  
ა) ვიღაცები მოვიდნენ;                                ბ) რამოდენიმემ იკამათა;                                გ) ჩვენ მეგობრობას;
- რომელია სწორი ფრომა?  
ა) ლიტრ-ნახევარი;                                ბ) ერთსა და იგივეს;                                გ) მეორადი;
- რომელია მართებული ფორმა?  
ა) ლირიული ლექსები;                                ბ) ლირიკული ლექსები;                                გ) სასომხეთში წასული;
- რომელია არასწორი ფორმა?  
ა) უცებ დაიძრა;                                ბ) ზეზეულათ გაშემდა;                                გ) მოულოდნელად გაემგზავრა;
- რომელია მართებული ფორმა?  
ა) ჩაუკბეჩია;                                ბ) გაუსრისავს;                                გ) დაუხატია;
- რომელია მცდარი ფორმა?  
ა) აქსოვინა;                                ბ) შეურაცხვეცი;                                გ) იმსხვერვოდნენ;
- რომელი ნაწილაკების დართვით იწარმოება უკუთქმითი ბრძანებითი?  
ა) განა, -ვე;                                ბ) -ცა, ლამის;                                გ) არ, ნუ.
- წართქმითი ბრძანებითი მოითხოვს:  
ა) ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულებას;  
ბ) ზმნით გამოხატული მოქმედების ნაწილობრივ შესრულებას;  
გ) -და, -ვე, -ც ნაწილაკების გამოყენებას;
- ჩამოთვლილთაგან რომელია საწყისის ფორმა?  
ა) ქუხილი;                                ბ) მოსვენებული;                                გ) მწუხარე;
- რომელია სწორი ფორმა?  
ა) ყოყმანობა;                                ბ) გამნადგურებელი;                                გ) შეჯიბრება;
- რომელია მართებული ფორმა?  
ა) უდაო;                                ბ) სივიწროვე;                                გ) ჩახშეს;
- რომელია სწორი ფორმა?  
ა) ვიგლოო;                                ბ) ედავოს;                                გ) მიხვრა-მოხრა;

